KA030139643917917

№ 01-22315 **16 / ოქტომბერი / 2017 წ.**

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ
სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიკო,

იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2017 წლის 29 სექტემბრის N01-21025 წერილი, რომელიც ეხება ევროპის ფარმაკოპეის შემუშავების კონვენციაზე საქართველოს მიერთების საკითხს, რომელთან დაკავშირებითაც აღვნიშნავთ, რომ საკითხი უნდა გადაწყდეს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკისა და მიზანშეწონილობის ფარგლებში, რა დროსაც, ვფიქრობთ, გათვალისწინებული უნდა იქნას შესაძლო რისკები, რომლებთანაც შესაძლოა, დაკავშირებული იყოს კონვენციასთან მიერთება, მათ შორის, შემდეგი ყურადსაღები გარემოებები:

1. კონვენციის პირველი მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ მხარეებმა უნდა ,,მიიღონ აუცილებელი ზომები რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ მონოგრაფები, რომლებიც მიღებულ იქნება არსებული კონვენციის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად და რომელიც წარმოადგენს ევროპის ფარმაკოპეას, <u>გახდეს ოფიციალური სტანდარტი, რომლებიც გამოყენებულ იქნება მათი შესაბამისი ქვეყნების ფარგლებში."</u>

ვფიქრობთ, აღნიშნული უნდა გახდეს სამინისტროს შესაბამისის სამსახურების მსჯელობის საგანი, თუ რამდენად არსებობს მზაობა და რამდენად არის შესაძლებელი გადაწყვეტილების იმპლემენტაცია, რომლის მიხედვითაც მოხდება, ზემოხსენებულ პუნქტში მითითებული, ევროპის ფარმაკოპეის სტანდარტის ჩვენი ქვეყნის მიერ სავალდებულოდ აღიარება და რა ვალდებულებებს შეიძლება წარმოქმნიდეს ქვეყნისათვის აღნიშნული.

2. კონვენციის მე-10 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია რომ ,,კომისიის სამდივნოს ხარჯები და ყველა სხვა საერთო ხარჯები, წარმოქმნილი წინამდებარე კონვენციის აღსრულების შედეგად, ეკისრება ხელშეკრულების მხარეებს."

აღნიშნული პუნქტის, ისევე როგორც მთლიანად კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, წინამდებარე კონვენციას მიერთება ქვეყნისათვის წარმოშობს გარკვეულ ფინანსურ ვალდებულებებს, რაც, ვფიქრობთ, ასევე, უნდა შეფასდეს სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ, ქვეყნის მიერ კონვენციის მიერთების შედეგად მიღებული სარგებლისა და ამ მიზნებისათვის გაწეული დანახარჯების თანაფარდობის გათვალისწინებით.

პატივისცემით,

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნათელა ხმალაძე